# ერი

№ 30

წელიწადი მეორე

1914

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

| | |
|---|---|
| წლიურათ . . . . . . . . . . . | 7 მანეთი |
| ნახევარი წლით. . . . . . . . . . | 4 მანეთი |
| თვიურათ . . . . . . . . . . . | 4 აბაზი |

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

პარასკევი, 7 თებ…

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ"
Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



ეროვნული ბიბლიოთეკა



## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ე რ ი"

### ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთში ახლო მონაწილეობას მიიღებენ ჩვენში ცნობილი პუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის . . . | 1 შაური. |

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ენკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მ., $1/2$ წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 5 მ., ნახევარ წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ. მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ" ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ. ივანოვის ქუჩა.


სამშაბათს, 4 თებერვალს, ხანმოკლე ავათმყოფობას შემდეგ ქუთაისში გადაიცვალა

**მოსე ათანასეს ძე ქიქოძე,**

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძენი განსვენებულისა ნიკოლოზ და მიხეილ, ასულნი თამარ, ნინო, ბარბარე, ეკატერინე, ალისა, რძალი ელენე ლევანის ასული და ცოლისდა ნადეჟდა ტატიშვილის ასული. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 5 ს. (საკუთარი სახლი ივანოვის ქუჩა.) გამოსვენება დანიშნულია პარასკევს, 7 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე. ცალკე მოწვევის ბარათები არ იქნება.

---

პავლე გურგენის ძე მდივანი და მეუღლე მისი თამარ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი სიმამრისა და მეორე საყვარელი მამის

**მოსე ქიქოძის**

გადაცვალებას. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 5 საათზე. საკუთ. სახ. ივან. ქუჩა.

---

ვასილი ივანეს ძე აბრამოვიჩი და მეუღლე მისი ნინო აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი სიმამრისა, ხოლო მეორე ძვირფასი მამის

**მოსე ქიქოძის**

გადაცვალებას. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 5 საათზე საკუთარ სახ. ივანოვის ქუჩა.

---

ედმუნდ ედმუნდისძე ფრიკი და მეუღლე მისი ეკატერინე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი სიმამრისა და მეორე დაუვიწყარი მამის

**მოსე ქიქოძის**

გადაცვალებას. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 5 ს. საკუთარ სახ. ივანოვის ქუჩა.

---

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი: ქვრივი ქრისტინე სიმონის ასული, რაჟდენ ნიკოლოზის ძე, ოლღა ნიკოლოზის ასული, ნინო გრიგოლის ასული და ნესტორ დავითის ძე ჩიქოვანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი უსაყვარლესი ქმრისა, მეორე და მესამე დაუვიწყარი მამისა, მეოთხენი ძვირფასი მამამთილისა და მეხუთე სიმამრისა

**ნიკოლოზ იოსების ძის შავგულიძის**

ხანგრძლივ ავათმყოფობას შემდეგ გადაცვალებას. დაკრძალვა მოხდება პარასკევს, 7 თებერვალს, ნაშვადღევის $2^1/_2$ ს. ქვიტირის მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში; მიცვალებულს გამოასვენებენ გალუშკინის სახლიდან ინჟინრის ქ.; პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 6 ს.

---

ქუთაისის ნაფიც ვექილთა, ამათ თანაშემწეთ და კერძო ვექილთა კორპორაცია ღრმა მწუხარებით აცხადებს, რომ 4-ს ამა თებერვალს გადაიცვალა უხუცესი წევრი კორპორაციისა

**მოსე ათანასეს ძე ქიქოძე.**

პანაშვიდი გადახდილი იქნება სასამართლოს სადგომში 6-ს ამა თებერვალს ნაშუადღევის პირველ საათზე. დაკრძალვა მოხდება 7-ს თებერვალს საღამოს ოთხ საათზე საფიჩხიის სასაფლაოზე.

---

მიხეილ და იოსებ ქიქოძენი ოჯახითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მისი ძვირფასი ძმის

**მოსე ათანასეს ძის ქიქოძის**

დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე დღეს, 7 თებერვალს, ნაშვადღევის ოთხ საათზე მოხდება.

---

მატა ჯაყელისა და ნინო შარაშიძისა ოჯახითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მათი საყვარელი ძმის

**მოსე ქიქოძის**

დაკრძალვა დანიშნულია დღეს, 7 თებერვალს, ნაშვადღევის 4 საათზე საფიჩხიის სასაფლაოზე.

---

ნესტორ გრიგოლის ძე ტყეშელაშვილი, ოლღა გრიგოლის ასული რუხაძისა და სიმონ ბეჟანის ძე რუხაძე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ თებერვლის რვას, შაბათს, სოფ. მაღლაკში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

**გრიგოლ ოტიას ძის ტყეშელაშვილის**

სულის მოსახსენებლათ.

---


## „რადიუმი"

ხუთშაბათიდან, 6 თებარვლიდან ნაჩვენები იქნება ახალი პროგრამა

I.

**პატე-ჟურნალი.**

II.

**„სინიდისის ქენჯნა"**

ძლიერ შესანიშნავი სურათი თანამედროვე დრამა „მონოპოლი" 4 ნაწილათ. დერი დერნერის და ფრიდრიხ კეისლერის მონაწილეობით

III.

**ბედეწერა და ინსტიტუტები**

(მაისი მხიარული თვეა).

კომედია დუსიზანის მონაწილეობით

**პროგრამას გარდა ახალი ცეკვა „მატჩის" ტანგო მაქს-ლინდერისა.**

---

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საბუღალტერო კურსები გ. გ. გიგინეიშვილისა

15 იანვრიდან იხსნება მეორე-პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერ გამოცდის შემდეგ რუსულსა და არითმეტიკაში. კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მანეთი. თხოვნები მიიღება ყოველდღე კურსების კანცელარიაში.

---

1914 წლის 2 იანვრიდან ქუთაისში, კირაკოზოვისა და ოგანოვის სახლში, ბულვრის პირდაპირ გაიხსნა

**კანცელარია ნოტარიუსის ვ. პ. კოკოჩაშვილისა.**

2 января 1914 года въ Кутаисѣ на Гимназической ул. въ д. Киракозова и Оганова открыта

**КОНТОРА НОТАРІУСА В. П. КОКОЧЕВА.**

---

**ა ქ ი მ ი** ქ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

**ა ქ ი მ ი** ი. ჩარექიშვილი ღებულობს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.
მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

**ა ქ ი მ ი** დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშვების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

**ა ქ ი მ ი.** კაკიტელაშვილი. დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან ₍₎ დროებით იღებს ავათმყოფებს საკუთარ სახლში სომხების ქუჩაზე, კათოლიკების ეკლესიასთან.


---

## კიდევ ჩვენი პროექტის გამო.

(პასუხათ „კლდეს").

„კლდეს" ჩვენს პროექტში ერთი რამ არ მოსწონს—აყრილი სოფლების მკვიდრთა დასახლება საბურთალოზე მას სასურველათ არ მიაჩნია: თფილისში ქართველ მცხოვრებთა რაოდენობის გაძლიერება ისეთი ელემენტებით უნდა მოხდეს, რომელნიც „შეჩვეული არიან ქალაქის ცხოვრებასო"...

კეთილი, მაგრამ, ერთი მიბძანეთ, ასეთ ელემენტებს სად მოსძებნით, სად გყავთ? ვინ გყავთ სახეში, რატომ არ ასახელებთ? ქალაქის ცხოვრებას შეჩვეული ხომ ისევ ქალაქებშია და აბა სად გვგულებათ საქართველოში ისეთი ქალაქი, საიდანაც შესაძლებელი იყო მთელი მასა მცხოვრებთა აყაროთ და საბურთალოზე დააბინავოთ? თითო-ოროლა ინტელიგენტი თუ არა ინტელიგენტი იმერელი (მზარეული, ფარეში და სხ.) რომ შეაგულიანოთ და თფილისში დაასადგუროთ, ეს ხომ საქმეს დიდათ ვერას შემატებს? ასეთი გადმოსვლა ხომ აქამდიც განუწყვეტლივ სწარმოებს, მაგრამ შესამჩნევი რა გაკეთდა იმ მხრით, რა მხარეც ჩვენ ამჟამათ გვაინტერესებს? რა თქმა უნდა, „ქალაქში ცხოვრების შეჩვეული" ნივთიერად უფრო ღონიერია და, როგორც ასეთი, უფრო სასურველიც არის იგი, ვინაიდან ჩვენს თანამედროვე პირობებში იგი მეტის პოლიტიკური ძალის მქონეა, მაგრამ კვლავ გკითხავთ, სად ვიშოვოთ ასეთი ელემენტები?

ჩვეულებრივ ქალაქების, ასე ვსთქვათ, ფიზიკური ზრდა ისე ხდება, რომ სოფლის მკვიდრნი თავის მამა-პაპურ მამულ-დედულს სტოვებენ და ქალაქში ბინავდებიან. მთელი დაბალი წოდება, რომელიც „მეშჩანებათ" იწოდება ხომ ის ყოფილი სოფლის მკვიდრნი არიან, რომელთაც სოფელი მიუტოვებიათ და ქალაქის მცხოვრებლებში გადაწერილან? განა ესენი თავიდანვე შეჩვეული იყვნენ ქალაქურ ცხოვრებას? მაგრამ გაჭირვებამ აიძულა სოფლის მიტოვება, ქალაქში გადმოსახლდნენ და თანდათან ქალაქის ცხოვრების პირობებს შეეგუენ. ქართველი ქალაქების უბნები რომ დაათვალიეროთ, იგივე სოფელია ქალაქის საზღვრებში მოთავსებული. სოფლის მკვიდრნი ათასნაირი გადასახადებით და ცხოვრების სხვა მძიმე პირობებით წელგატეხილნი ხშირათ მასობით სტოვებენ თავიანთ კერას და ქალაქის განაპირებზე ესახლებიან. აქ, მართალია, ერთ დრომდი გაჭირვებასაც განიცდიან, ხოლო შემდეგ უკეთ ეწყობიან, ვიდრე სოფელში. აქ ზოგი დღიურ მუშათ გადის, ზოგი ხელოსნობს, ზოგი პატარა ვაჭრობას იწყებს, ზოგი კიდევ სხვა შრომას ეწევა და, ასე და ამ გვარად, სოფლის ნამდვი-

# დღიური.

გალიციის სეიმში დეპუტატ მარკოვის გამოსვლამ და რუსულათ ლაპარაკმა უკმაყოფილება გამოიწვია.

— იაპონიაში ქვედა პალატის უმრავლესობამ სამრეწველო გადასახადის კანონპროექტი უარყო.

— პროფესორი გრიმი პროფესორობიდან დაითხოვეს. სახელმწიფო საბჭოს წევრთა უმრავლესობა მისი დათხოვის წინაალმდეგია.

— ფინანსის მინისტრი ბარკი „ნოვოე ვრემიას" გამომცემელი ამხანაგობიდან გამოვიდა.

— ფინლანდიის სეიმში პეტიცია შეიტანეს და მოითხოვენ კანონიერი წესრიგის აღდგენას.

— სახელმწიფო სათათბიროში ქალთა პირადი და ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ მსჯელობენ.

— სახელმწიფო საბჭო ლოთობასთან საბრძოლველ კანონპროექტის შესახებ მსჯელობას განაგრძობს.

— გორემიკინი ამ მოკლე ხანში სათათბიროში მთავრობის დეკლარაციას წაიკითხავს.

---

ლი მკვიდრი ქალაქის ცხოვრების ულელში ებმის და ბოლოს ისიც მოქალაქეთ ხდება.

სხვათა შორის, ქუთაისის განაპირა უბნები (სალორია, კახიანოური, ჰომა და სხ.) სულ ამ სახით შედგა. გუშინ ტიპიური სოფლელნი, უსწავლელნი, არავითარი პროფესიონალური ცოდნის არ მქონენი, მხოლოდ მხვნელნი და მთესველნი, დღეს მოქალაქეებათ ითვლებიან. ეს მათი აქ დასახლება, მათი გაქალაქება მოხდა ისე, რომ მათ არც ვინმე დამხმარე ყოლია, არც რაიმე სპეციალური ორგანიზაცია იყო მათი გამძღოლი. გაჭირვებულმა ხალხმა თვით გაიკვლია გზა არსებობისათვის ბრძოლაში, და თუ დღეს კიდევ ქონებრივათ სუსტია, შეიძლება, ხვალ წელი უფრო მოიმაგროს. დღეს თუ იგი ქალაქს აწევს ტვირთათ, შეიძლება ხვალ თვით გაუწიოს ქალაქს დიდი სამსახური.

საბურთალოზე დასახლებულნი სოფლის მკვიდრნი კი უკეთეს პირობებში იქნებიან. ჩვენ თუ საბურთალოზე დასახლების შესახებ სიტყვა ჩამოვაგდეთ, ცოტა არსებული ორგანიზაციის (საადგილ-მამულო კომისიის) იმედიც გვქონდა. ჩვენ ვფიქრობთ, კომისიამ რომ ხაზინის წინაშე ის შუამდგომლობა და ხელმძღვანელობა გაუწიოს, რომ აყრილთ ხაზინამ ყოველი ქონებრივი ზარალი უზღოს, იმავე ორგანიზაციამ რო გლეხებს გზის ფული მოუპოოს, რო მცირეოდენი თანხაც სუბსიდიათ მისცეს, საზოგადო შეწირულობათა საშვალებით, საბურთალოს მეპატრონეებს რომ უსასყიდლოთ მათ სასარგებლოთ სამოსახლო მიწები დაათმობიოს, დასასრულ, დაბინავების პირველ ხანებში რო მანვე შრომის საშვამავლო ბიუროს როლიც იკისროს, ესე იგი, დააბინავოს ისინი ზოგი მეეზოვეთ, ზოგი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში, ზოგიც ქარხანა-ფაბრიკებში და კიდევ სხვადასხვა დარგის შრომაში, რომელიც კი მაინცადამაინც არავითარს პროფესიონალურ ცოდნას არ თხოულობს და რომელსაც სოფლის ძალღონით სავსე მკვიდრიც კარგათ გაუძლევება,—ყოველი ეს რომ კომისიამ კეთილსინიდისიერათ შეასრულოს, დიდი საქმე შედარებით ადვილათ შესრულდება. აქ შეუძლებელი და არა სასურველი არაფერი იქნება. უვიცი და არას მქონე ტეტია ათი-ოცი წლის განმავლობაში ისეთი მოქალაქე დადგება, რომელიც ქალაქურ ცხოვრებას უკვე შეჩვეული იქნება და ქალაქის ცხოვრების ტალღებში უკვე ჩაბმული. კვლავ ვიმეორებთ, რომ ქალაქების ზრდა ყველგან ასე წარმოებდა—სოფლებიდან გადმოდიოდენ ქალაქებში და საბოლოოთ აქვე რჩებოდენ.

გვეუბნებიან, საბურთალოზე და მის მიდამოებში აუცილებლათ ინტენსიური მეურნეობაა საჭიროო; ამას კი ტირიფონის გლეხობა ვერ შესძლებს, მიწებს სხვებს მიყიდის და კვლავ აიყრებაო..

მით უკეთესი, თუ თფილისის ახლო მდებარე ადგილებს ისე ვერ გამოვიყენებთ, თუ არა ინტენსიური მეურნეობისთვის. მერე ასე ძნელია აქვე ზედ ქალაქთან ინტენსიურ მეურნეობაზე გადაყვანა რამდენიმე სოფლის მკვიდრთა? ქართულმა სამეურნეო საზოგადოებამ სულ მცირე თანხით მცირე დროის განმავლობაში შესამჩნევათ გააუმჯობესა სხვადასხვა დარგი მეურნეობისა შორეულ სოფლებში და ნუთუ საბურთალოს ახალშენისთვის არ მოიძებნება საშვალებანი, რომ მას ინტენსიური მეურნეობისთვის მოაკიდებინონ ხელი?

ბევრგან დიდი ქალაქების მიდამოებში მაღალი სამეურნეო კულტურა ყვავის: მშვენიერი ბოსტნები, ყვავილ-ვარდების სანერგეები, ძვირფასი ხეხილის ბაღები და სხ. და სხ.

თუ ასეთ რასმე გავაჩენთ, ეს ბევრნაირათ სასარგებლოც იქნება. მიწის მუშა გლეხობაა, მას მხოლოდ ხელმძღვანელობა სჭირია ერთ დრომდი. ასეთი ხელმძღვანელობა კი იმავე ორგანიზაციას, რომელსაც სატერიტორიო საკითხი თავს უდვია, არ გაუჭირდება, მით უფრო, რომ ეს ხელმძღვანელობა მისგან დიდ ნივთიერ ხარჯებს არ გამოიწვევს. საჭიროა მხოლოდ სურვილი, საქმისადმი სიყვარული და მხნეობა.

მარტო ეს საქმე, რომელზეც ვუთითებთ, რომ კეთილათ დაავგვირგვინოს კომისიამ და შემდეგ არაფერიც გააკეთოს, ის მაინც დიდს სამსახურს გაუწევს უმწეოთ დარჩენილ აყრილ გლეხობას და ქართველ ერს ეროვნული ძალების გაძლიერებით ჩვენს დედაქალაქში.

კვლავ ვიტყვით პირველ, ყოვლისა ქალაქს უნდა გამაგრება. ეროვნული საკითხი, რამდენათ იგი, სხვათა შორის, ერთა ურთიერთობას ეხება, ქალაქში აღმოცენდა და აქვე უნდა გადაწყდეს. ქალაქს შემდეგ სოფელიც მოყვება. ქალაქი მისი მაჩვენებელია. ქალაქია ბუდე გაბატონებული კლასებისა, და მაშასადამე, აქ მეფობს ყოვლისათ ბატონობის განმტკიცების სურვილებიც. და, სადაც ასეთი სურვილებია, იქ, უეჭველია, მეორე იჩაგრება თუ წმინდა კლასობრივ ურთიერთობათა სფეროში და თუ ეროვნულ ნიადაგზე, ოდეს ბატონობა მთელი ერის ინტერესების გადალახვას ლამობს. ასეთ პირობებში აუცილებლათ საჭირო ხდება თავის დაცვა ძალთა გაძლიერებით.

აი, ერთერთი საშვალებაც ძალთა განწყობილების შეცვლისა თფილისში ის გახლავს, რასაც ჩვენ წინა წერილში ვიცავდით. ამ საშვალებით ერი იმ კეთილშობილურ მეტოქეობის გზაზე სდგება, რომელიც ეროვნულ სიმწვავეს ოდნავაც არ იწვევს და, პირიქით, ერთა სოლიდარობისკენ მიდის იმდენათ მაინც, რამდენათ იგიც, სხვათა შორის, ძალთა თანასწორობას აახლოვებს. ძალთა თანასწორობა კი ხომ მშვიდობიანობის გარანტიაა!

გრ. გველესიანი.

# ახალი ამბავი.

„სინათლის" უკანასკნელ წარმოდგენასაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო. საისტორიო მაგალითია ქუთაისში ოთხჯერ ზედიზედ ერთსა და იმავე პიესას ამდენი საზოგადოება მიეზიდოს. მოწაფე ახალგაზდობის აღფრთოვანებამ ფრთა გაშალა—წარმოდგენას შემდეგ ავტორი ხელში აყვანილი მიაცილეს სასტუმრომდი და იმავ ღამით მადლობით გაისტუმრეს ავტორი, რეჟისორი, დასი და ორკესტრი თფილისისკენ.

✦ დღეს დაკრძალვენ მოსე ქიქოძის ცხედარს. პანაშვიდებს დიდი საზოგადოება ესწრებოდა განსვენებულის ბინაზე და ქუთ. სასამართლოს დაწესებულებაში და ქალ. თვითმართველობის დარბაზში.

თვითმართველობამ გადასწყვიტა: ერთი მუდმივი საწოლი იქონიოს ქალაქის საავათმყოფოში განსვენებულის სახელობაზე და გვირგვინის ნაცვლად ქ. შ. წ. კ. საზოგად. ქუთაისის განყოფილებისთვის ფულით შესაწევარი გაიღოს.

ვექილთა კორპორაციამ დაადგინა განსვენებულის სურათი ჩამოკიდოს საკონსულტაციო ოთახში და ფული შესწიროს წ. კ. ს. ქუთ. განყოფილებას.

სასამართლოს მოხელეთაგან ცხედარზე გვირგვინი ძევს ასეთი წარწერით: უხუცეს, ღირსეულს ჩვენს თანამშრომელს. განსვენებულის ახლობელთა და სხვა კერძო პირთაც განზრახვა აქვთ გვირგვინის ნაცვლად ფულით შესაწევარი გაიღონ ქ. შ. წ. კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილებისთვის.

მიცვალებულის პატივსაცემლათ ჰირისუფლებს სამძიმარი განუცხადეს დეპუტაციებმა: ქუთ. თავ.-აზნაურთა, ვექილებისა, ქალაქის თვითმართველობისა, სასამართლოს მოხელეებისა და სხ.

ურიცხვი სამძიმრის დეპეშებია მიღებული ჰირისუფლების სახელზე.

✦ დღეს საღამოს 7 საათზე შავიქვის საბჭოს დარბაზში ქალთა საზოგადოების მორიგ კრებაზე აქიმი გიორგი ბადრიძე ისაუბრებს შემდეგ თემაზე; ა) კაცობრიობის თანდათანობითი განვითარება და გამრავლება ქვეყანათ. ბ) შიმშილი, წყურვილი და ამის ფსიხოლოგიური ახსნა.

✦ ხონის საქალაქო სასწავლებლის გამგე ბ. [illegible] სწირავს ხონის ქალთა წრეს, რომელსაც ხუთ-ხუთი [illegible] ამ სასწავლებლის ორი ღარიბი მოწაფისათვის.

✦ რედაქციამ მიიღო და დანიშნულებისათანავე გადასცა წ. კ. ს. ქუთ. განყოფილების მოლარეს ლევან და სოფიო კოკოჩაშვილების მიერ შემოწირული ოცდახუთი მანეთი, ნაცვლად გვირგვინისა განსვენებული მოსე ქიქოძის ცხედარზე და სამი მანეთი 1914 წ. საწევრო გადასახადი აქ. ი. ლ. ჯინორიძისაგან.

✦ რედაქციამ მიიღო ბ. სეზმან ერთაწმინდელის 3 მოქმედებიანი დრამა— „წარსულის ნანგრევებზე". დრამა შეიცავს 40 გვერდს და ღირს 3 შაურათ.

✦ ბათომის ქალაქის მოურავი თ. ანდრონიკაშვილი თფილისს წავიდა კავკასიის პოლიტეხნიკუმის მთავარი კომიტეტის თათბირში მონაწილეობის მისაღებათ.

✦ დონის-როსტოვის საპატიმროში მყოფთ ნ. ელიავასა და ეკატ. ავალიანის ასულს 3 წლით ნარიმის მხარეს ასახლებენ.

✦ შიმშილობის შესახებ საუწყებათაშორისო კომის ამ ქუთაისში 1 თებერვალს დაასრულა მუშაობა. თათბირში მონაწილეობას ღებულობდენ ზუგდიდისა და სენაკის მაზრის მომრიგებელი მოსამართლეები მამფორია და ერისთავი, რაჭის მაზრის უფროსი გამრეკელიძე, ოზურგეთისა—მახარაძე, შორაპნის მანსვეტაშვილი და კავკასიის მეფის მოადგილის კანცელარიის წარმომადგენელი ავგუროვი. თათბირზე გამოირკვა, რომ სენაკის, ზუგდიდისა და ლეჩხუმის მაზრებში, თუმცა იყო ცოტა მოუსავლობა, მაგრამ ხალხი მაინც სხვის დაუხმარებლათ გაიტანს თავსო; დანარჩენ ოთხ მაზრაში თათბირმა აღიარა მოუსავლობისაგან დაზარალებულთა დახმარების საჭიროება. დახმარება უნდა აღმოეჩინოს ქუთაისის მაზრაში 23 საზოგადოებას, ოზურგეთისაში—15-ს, შორაპნისა და რაჭის მაზრებში ყველა საზოგადოებას, გარდა კიწყისა. გამოირკვა, რომ ყველაზე მეტ დახმარებას შორაპნის მაზრის მცხოვრებლები საჭიროებენ. შორაპნის მაზრას 750 ათასი მანეთის დახმარება

---

# გიგლა ფუჩეჩაშვილი.

(დასასრული, იხ. „ერი" № 29).

ერთ დღეს გიგლას ახალი ამბავი მოუტანა მამა მისმა:

— ერთი შენსავით ხელმოკლე სტუდენტი მდიდარ ქალს ირთავს და მზითვით უნდა კურსი დაასრულოს.

გულში ლახვარივით მოხვდა გიგლას ეს ამბავი.

აწონ-დაწონა იმ ღარიბი სტუდენტის ყოფა, შეადარა თავისთავს და თუმცა არ ამართლებდა სტუდენტს, მაგრამ ვერც გამტყუნება იკისრა...

მამამაც სწორეთ იმ განზრახვით უამბო ეს შემთხვევა,—უნდოდა მიეხვედრებია სხვა გზა არც გიგლას აქვს და უნდა მასაც გაებედა ასეთი ნაბიჯის გადადგმა.

ნიადაგი მოიმზადა.

თხილაძესთან თითქმის მოაგვარა საქმე და ორ-სამ დღეში უნდა გაეცხადებია შვილისთვისაც და წინათვე გაიკვლია გზა, რომ უცებ არ ეუცხოვა გიგლას ცოლის შერთვა.

შემდეგ კიდევ რამდენჯერმე ქონდათ საუბარი ამ საგანზე და ნათლათ აგრძნობია, რომ დროა შენც იფიქროვო...

— ღმერთო, განა იქამდი უნდა მივაწიო, რომ ცოლის მზითვით განვაგრძო სწავლა?.. ანგარიშით შევირთო სულ უცნობი ქალი... სულ უცხო და რამდენსამე ხანს შემდეგ დავშორდეთ ერთმანეთს იმიტომ, რომ სულმა სული ვერ იცნოს და გულმა გული...

საშინელი წუთები გამოსცადა გიგლამ, თვალწინ წარმოუდგა ცოლი, შვილები, ოჯახი, მოვალეობა...

მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა, რადგან თხილაძეც გადაჭრილ პასუხს მოითხოვდა და პირდაპირ დაუწყო გიგლას მამამ საუბარი:

— აი, შვილო, შენც შეირთე თხილაძის ქალი, მოხდენილი, ლამაზი ქალია, მასთან მდიდარი, დიდ ფულს გამოატანს მამა მისი, ქალიც ნასწავლია—განათლებული და კარგი მეოჯახე...

კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გიგლამ მოასწრო სახლიდან გავარდნა და შვაღამემდი არ დაბრუნებულა.

შვილთან რო ვერა გააწყო-რა, ახლა ცოლს მიმართა:

— შენ დედა ხარ, უფრო გაბედვით შეგიძლია ლაპარაკი, იცნობ შვილის გულს და გაგიგონებს კიდეც, დაიყოლიე როგორმე... გადაჭრილ პასუხს თხოულობს ის კაცი.. თუ ჰო-ჰო, თუ არა კიდევ სხვისაგან მომივიდა მოციქული... ღმერთმა ხომ იცის, ჩემთვის არა მინდა, მივაწევ ასე გაძლებული სიცოცხლით სამარის კარამდი.

* * *

მკათათვე იწყებოდა...

ფუჩეჩაშვილის ოჯახს დღესასწაულის ელფერი ედვა: სტუმარი, შინაური და გარეშე სიამოვნებაში გახვეულიყო.

ყველა მორთულ-მოკაზმულიყო.

გიგლაც კი სტუდენტის ფორმაში გამოწყობილიყო.

სადღესასწაულოთ მორთულს მაინც დაღვრემილობა ემჩნეოდა.

თუმცა წინათაც იცნობდა შორიდან თხილაძის ქალს, მაგრამ მაინც მოციქულებით გაკეთდა საქმე, მაინც ანგარიშიანი ცოლის შერთვა გამოდიოდა და ისიც მისი სურვილის წინაალმდეგ.

არავითარ სიკეთეს არ გამოელოდა ამგვარი ანგარიშიანობიდან და თუ დასთანხმდა, მხოლოდ მშობლების პატივისცემის გამო, არ უნდოდა უსიამოვნება მიეყენებია საბერის ჟამს.

ერთხელ კიდეც გადასწყვიტა მიეტოვებია უნივერსიტეტი, რის გაგონებაც კი არ სურდათ მშობლებს და ამიტომ დაყვა მათ ნებას.

მოახლოვდა ჯვრისწერის დრო, ერთმა უფრო ახლო ნათესავმა მანდილოსანმა ჩაისვა ეტლში გიგლა და გაემგზავრენ თხილაძისას.

აქ კი სულ სხვა სურათი იხილეს:

ერთი რომელიმე მანდილოსნის სამკაული მთლათ იყიდდა ფუჩეჩაშვილის სტუმრებს მათი ავლა-დიდებით.

თითებზე რომ აღარ დატეოდათ ბეჭდები საათის ძეწკვზე ესხათ კაკილასავით და მათი შუბლისა გულის ქინძისთავების ძვირფასი ქვები თვალს სჭრიდენ მაყურებელს.

დიდხანს არ დაუყოვნებიათ, ეკლესიისაკენ გაეჩქარენ.

ღვდლის ჩვეულებრივ შეკითხვაზე: „სურთ თუ არა ერთმანეთი?" ისეთი ყრუ ამოძახილით და კილოთი უპასუხა გიგლამ, რო უფრო უარსა გავდა.

გათავდა ღვდელმსახურება, მამა იოანემ უსურვა ბედნიერება, ე. ი. მოიხადა უკანასკნელი ვალი და გამოისტუმრა ახლათ ჯვარდაწერილნი.

მილოცვებს აღარ ქონდა დასასრული სახლში მოსვლისას. გიგლა კი იდგა გაშტერებული და გამშრალი თვალებით აშტერდებოდა ყველას. მის გულს არ ხვდებოდა ასეთი მილოცვები და მზათ იყო ეყვირა:

„რას რას მილოცვათ? იმას, რომ ცხვარივით გამყიდეს და თქვენც, ყველა აქ დამსწრე ამოწმებთ ამ ვაჭრობას?!"

მასთან მოაგონდებოდა მოხუცი მშობლების სიხარული, ბედნიერება, რომ სიცოცხლეშივე შეესწრენ მის ცოლიანობას და საშინელი ოხვრა ღა ამოსკდებოდა გულიდან.

... მაგრამ გიგლაც თანდათან შეურიგდა ბედს.

ახლოვდებოდა უნივერსიტეტში წასვლის დროც; ოჯახში საერთო მოლაპარაკებას შემდეგ, გადასწყვიტეს—გიგლა მარტო წასულიყო, არც მისი „ელენ" იყო ამის წინაალმდეგი, თუმცა კი ძნელი იყო უგიგლოთ ყოფნა; ახალგაზდა ქალს უჭირდა ორ ბებერთან დარჩენა, მაგრამ მხედველობაში ქონდა გიგლას მეცადინობა და დარწმუნებული იყო, რო გაყოლოდა, ხელს შეუშლიდა.

გაემგზავრა გიგლა და ერთ ხანს ძლიერ მოსწყინდათ ორივეს ერთმანეთობა, თითქმის ყოველდღეს სწერდენ წერილებს და ათასსა და ათიათას კოცნას უგზავნიდენ; „ერთი ვენერა იყო მეორისათვის, მეორე—აპოლონი პირველისათვის, სულის საუნჯე, სამოთხის ყვავილი და სხვ."

ფულით უზრუნველყოფილი გიგლა ნელნელა გამოვიდა საზოგადოებაში, დაიწყო სიარული კლუბში, თეატრებში, კონცერტებზე და ხშირათ აღარ ეცალა წერილების გასაგზავნათ...

ელენე ჯავრობდა, როდესაც წერილი იგვიანებდა... უწინდელი „განდეგილი" გიგლა მთლათ გარდიქმნა, ბევრ მის ამხანაგს უკვირდა ასეთი სწრაფი ცვლილება გიგლასი. „დროს მოსაკლავათ" ქაღალდის თამაშიც დაიწყო, აღარც რესტორანში ქეიფობაზე ამბობდა უარს და სამი-ოთხი თუ არა, ორი მომღერალი ქალი მაინც უჯდა გვერდით და სიმღერით უტკბობდენ ყურთა-სმენას.

ერთხანათ ისე გაიტაცა ერთმა ქალმა, რომ თავის დანებება მოისურვა უნივერსიტეტში მეცადინობაზე და სიმღერის გაკვეთილებზე დადიოდა, ვითომ შანსონეტის მომღერალი უნდა გამოსულიყო.

ძველი გიგლა აღარ არსებობდა.

გათამამდა, ყველგან სასურველი სტუმარი შეიქნა, გასათხროვრები აღმერთებდენ, როგორც ყველაფრით შემკულ კავალერს.

ყველას კარები ღია იყო მისთვის.

ერთმა გასათხოვარმა სიყვარულიც კი გამოუცხადა და, როდესაც მისივე ამხანაგისაგან შეიტყო,—ცოლიანიაო,—ახლოს აღარ გაუკარებია... სხვებისთვის არ გაუმჟღავნებია ეს ამბავი, მაგრამ პირადათ გიგლას კი ყოველთვის კიცხავდა, რომ ნიშნობის ბეჭედს საფულეში მალავდა, სხვა ძვირფასი თვლებით მოჭედილი ბეჭდებით კი აჭრელებული ქონდა თითები.

ელენეს ყურამდიც მოაწია ამ ამბებმა და წერილებში უსაყვედურებდა, რაზეც იმით იმართლებდა თავს გიგლა, რომ ამხანაგებს შურთ, რომ ყველგან მიღებული ვარ, როგორც საპატიო პირიო.

ერთ რესტორანში დიდი ჩხუბიც მოახდინა ერთხელ მომღერალი ქალის გამო, რისთვისაც ამხანაგებმა გაასამართლეს და გამორიცხვასაც უპირობდენ თავისი წრიდან, როგორც მათი პრესტიჟის დამცემს მაგრამ გიგლამ ბოდიში მოიხადა, სიტყვა მისცა გავსწორდებიო, და ისინიც დაკმაყოფილდენ.

უშედეგოთ ჩაიარა ამ შემთხვევამ და გიგლაც გათამამდა.

მთვრალი, გალეშილი დაიწყებდა ქუჩაში ხეტიალს და შეურაცხყოფას აყენებდა გამვლელ-გამომვლელს და საპოლიციო უბანშიც გაატარა რამდენიმე ღამე...

იყო მხოლოდ მოხდენილი, ლამაზი, ცქვიტი, დონჟუანი გიგლა...

მეტი არაფერი!

კანიკულებზე აღარ დაბრუნებულა შინ. მოსწერა ელენეს, რომ სტუდენტების ექსკურსია მიდის საზღვარგარეთ, მეც მინდა წასვლა, მთელ ზაფხულს იქ დავრჩებით და საგზაო ფული გამომიგზავნე, ჩემო მტრედო, ჩემო ანგელოზოო!

ფულის საჭიროების დროს ცხვარივით მორბილდებოდა, ისე კი ყოველ წერილში მუქარას უთვლიდა ცოლს. ჰკვიანათ იყავი არ შემარცხვინოვო.

მოსკოვიდან ფეხცქარ მოუცვლია გიგლას იმ ზაფხულს...

აყვა ერთს მომღერალ ქალს და კუდში დასდევდა ყველგან.

დღევანდელი ცხოვრების ყოველივე „სიამე" იგემა გიგლამ...

ასევე გაატარა მეორე წელიც.

ამდენი ანორმალური ცხოვრება ველარ აიტანა მისმა სუსტმა ორგანიზმმა და დაავათმყოფდა.

სულიერათ უკვე დაცემულმა, ახლა ხორციელათაც იწყო დასუსტება.

თვალები ჩაუშავდა, გახდა, წელმა დაუწყო ტეხა დროგამოშვებით, მუხლებში სისუსტე იგრძნო; გულს არ იტეხდა, მაგრამ ისე კი ამჩნევდა, რომ სულ უარდაუარ მიდიოდა მისი ჯანმთელობა.

ტანზე რაღაც საეჭვო მუწუკები გაუჩნდა.

ეს კი ხუმრობა აღარ იყო და სერიოზულათ დაიწყო აქიმობა...

მიეცემა, ქუთაისის მაზრას 270 ათასისა, რაჭისა და ოზურგეთის მაზრას თითოს 50 ათასის დახმარება. მცხოვრებთ დახმარება რვა თვის განმავლობაში მიეცემა და გამოანგარიშებულია თითო მოზდილ სულზე 1 ფუთი თვეში, მცირე წლოვანზე ნახევარი ფუთი. დრეიფუსის ფირმის წარმომადგენელმა სასურსათო დახმარების კომისიას წინადადება მისცა საჭირო სიმიდს ჩვენ მოგცემთ ფუთს 1 მ. და 2 შაურათო. ამ მიზნით გავხსნით, სადაც საჭირო იქნება, საწყობებს, საიდანაც შეეძლებათ სიმიდის წაღება მცხოვრებთ მამასახლისის ნებართვითო. კომისიამ სიმიდის ფასი ძვირათ სცნო და ფირმის წინადადება არ მიიღო. გურიისათვის საჭირო სიმიდს გურიაშივე იყიდიან, ხოლო სხვა მაზრებისათვის კი ჩრდილოეთ კავკასიიდან მოიტანენ.

✦ თფილისის ვაჭართა საზოგადოებამ 3 თებერვალს მთავარი საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის სახელზე სახელმწიფო ბანკში 25 ათასი მანეთი შეიტანა. იქვე შეიტანა თფილისის საკრებულომ 1000 მანეთი.

✦ ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა დანიშნულია ხვალ, საღამოს 8 საათზე. ამ სხდომაზე, სხვათა შორის, განიხილება ნ. ნიკოლაძის პასუხი საბჭოს დადგენილების გამო ქალაქის მუნიციპალური საქმეების მოწყობის შესახებ.

✦ 8 თებერვალს ოლქის სასამართლო გაარჩევს იუნონ კარტოზიას, ნესტორ ხუბულავას, იროდი ბრეგაძისა და იპოლიტე გვეტაძის საქმეს.

✦ გუშინ ოლქის სასამართლოს შენობაში ქუთაისის ნაფიც ვექილთა და მათ თანაშემწეთა მიერ 1 საათზე გადაიხადეს პანაშვიდი ნაფიცი ვექილის მ. ა. ქიქოძის სულის მოსახსენებლათ.

✦ ხილიჩავის დუქნიდან გაძარცული ნივთების ერთი ნაწილი, 200 მანეთად ღირებული ქუთაისის მაძებარ პოლიციას ამოუჩენია მეუნაგრე ივანე კუხიანიძესთან, რომელსაც ვილაც ჯიბგირიდან უყიდია. კუხიანიძეც და ის, ვინც მას საქონელი მიყიდა, ამჟამათ დაპატიმრებულია.

✦ ქუთაისს ჩამოვიდა სომეხთა ეპისკოპოზი.

✦ ზელიმხანის მკვლელს კიბირევს პეტერბურგში თავის მთავრობისთვის გაუცხადებია, რომ ოთხი კავკასიელი ჩამოვიდა სატახტო ქალაქში ჩემს მოსაკლავათო.

✦ რედაქციამ მიიღო სიმონ ქვარიანის წიგნი: „შოთა რუსთველი და მისი პოემა", წიგნი სუფთადაა გამოცემული, ჩართული აქვს შოთას სურათი, შეიცავს 86 გვერდს და ღირს ექვს შაურათ.

## ჭაბუკი სული.

### (მოსე ქიქოძის ძვირფას ხსოვნას)

მე არ მინახავს ის სასამართლოს წინაშე ამაყათ მდგომი; არ მსმენია მისი სიტყვა, მრისხანებით და ფიცხელი გრძნობით მფეთქავი.

ორი შემთხვევა, ორი სურათი ჩემს ხსოვნაში ცოცხლათ, წარუშლელათ აღბეჭდილი, მიდგება თვალ-წინ, როცა მის უსულოთ მდებარე ცხედარს დავყურებ.

1904 წლის 3 თებერვალი იყო ქუთაისის ცხოვრების აუშფოთებელი მიმდინარეობა საშუალო სასწავლებლების მოწაფეთა მღელვარებას დაერღვია. ყველაფერი, რაც კი იყო სასწავლებლის შემხუთავ კედლებ შუა ცოცხალი,—სინათლისა, სიკეთის მწყურვალი, ბობოქრობდა და ღელავდა. უცნაური, უჩვეულო ხმაურობა და მოძრაობა გამეფებულიყო ბნელს, ვიწრო დერეფანში, რომლის კარებთანაც აშფოთებულ პედაგოგთა მწყობრი რაზმი ამაოთ ცდილობდა წესიერებისა და სიწყნარის აღდგენას. ყოველი სიტყვა, ამ რაზმიდან მოწაფეების მიმართ წამონასროლი, აღელვების დაცხრომის მაგიერ აღვივებდა, ყმაწვილურ გატაცებას აცხოველებდა.

სხვა მშობელთა შორის მოსე ქიქოძეც მოსულიყო თავისი შვილების წასაყვანათ. როცა ის ჩვეულებრივ მოხდენილი ნაბიჯით ამაყათ თავაწეული მღელვარე ახალგაზდობის წინაშე შეჩერდა და თვალი გადაავლო „პედაგოგებს", ამათ ეგონათ, რომ თავის ძლიერ მოკავშირეს ხედავდენ; და ერთმა მათგანმა „ამბოხების" მოთავეთა დაწყნარებაც კი სთხოვა მას...

მართლაც, ნიჭიერი მოხუცის თვალებში ცეცხლმა იელვა, სწრაფათ მოტრიალდა და ახლა კარებთან ატუზულ პედაგოგებს დააცქერდა:

— ნუთუ არაოდეს არ ყოფილხართ ჭაბუკურათ გატაცებულნი?... მე გამომიცდია ახალგაზდობა, მე მესმის რა მაღალი, რა კეთილშობილი მისი მისწრაფება! თქვენი საქციელით კი თქვენ, ბატონებო, ცეცხლს განელების ნაცვლად, უფრო აღვივებთ!

განცვიფრებული და გაბრაზებული დრტვინვა გაისმა ამ მოულოდნელი მხილების პასუხათ... და, როცა ამის მთქმელი კარებისაკენ წავიდა, უხმოთ გაირღვა მის წინაშე დამფრთხალ დაბნეულ ადამიანთა წრე.

ერთ წელს შემდეგ ქუთაისის მთავარი ქუჩა მღელვარებდა და შფოთიავდა; აფოფინებულ მდინარეს წარმოადგენდა ქალაქის ბაღი. უეცრათ მოსეირნეთა ხმამაღალ ჟივილში მათრახის ტლაშუნი, გულშემზარავი ყიჟინა და ღრიალი გაისმა; სწრაფლ დაცარიელდა ქუჩისა და ბაღის ერთი კუთხე, დამფრთხალი ხალხი უგზო-უკვალოთ გარბოდა.

ბაღის გიდალმა ქუჩის პირას ეტლით მჯდომს მოწაფეებს გარს შემოხვეოდენ ცხენოსანი ყაზახ-რუსები და რაც ძალი და ღონე ქონდათ უტლაშუნებდენ მათრახს; სცემდენ ცხვირში, პირში, სადაც შეხვდებოდათ...

მშველელი არსად ჩანდა.

უეცრათ ქუჩის მეორე კუთხეში გამოჩნდა მაღალი ტანის, ჭაღარა კაცი; ის მთლად თრთოდა სიბრაზისა და აშფოთებისაგან: ხელში ჯოხ-მომარჯვებული მივარდა თავიდან—ფეხებამდი იარაღ-ასხმულ ყაზახებს, რომელთაც ამდროს თოფი მოიმარჯვეს და მოხუცისკენ იბრუნეს პირი... ვილაცამ გამოგლიჯა ის გააფრთებულს გამხეცებულ ადამიანებს ხელიდან; ვილაცამ ძალით წაიყვანა ამ ადგილიდან, სადაც ერთი წამის უკან რამდენიმე ადამინის სისხლი დაიღვარა...

ჭაბუკური სული, ცხოველი—აი, რა იყო დასაფასებელი შენში! აი, რა დასტოვებს წარუშლელ კვალს შენს გულწრფელ პატივისმცემელთა გულში.

პატივისმცემელი.

## აქ-იქაური.

ოთხი დღეა, „სინათლეში" ვიყავით. დიდიხანია, ვეძიებთ სინათლეს, სინათლის ქვეყანას...

ოცნებე ჩვენი საზღვარდაუდებელია...

ირგვლივ ბნელა!..

ოთხი დღეა, ი. გედევანიშვილმა ავთანდილს ჭალი ხელთ მისცა,. სინათლის ქვეყნიდან მოგზავნა იგი და გულს სასოება დაგვისახა...

ჩირაღდანით ხელში სინათლის ქვეყნიდან მოსულმა ავთანდილმა გაფანტა წყვდიადი, სძლია ჯოჯოხეთს, დაამარცხა გველეშაპი...

ავთანდილი! სინათლე! სინათლის ქვეყანა! ჭალი!

მაგრამ, ვაი, რო მარტო ოთხ დღეს, თეატრში, სამი საათის განმავლობაში...

ირგვლივ ბნელა!

ვუხმოთ ავთანდილს, გაფანტოს წყვდიადი...

დაამკვიდროს სამარადისო სინათლე! დ.

## სოფლის მასწავლებლები.

კიდევ მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა მასწავლებელთა შესახებ.

ვფიქრობ და არც უნდა ვსცდებოდე:— ბევრს თფილ ადგილზე დაბძანებულს, გალაღებულ, პირმცინარეს, ყოველმხრით უზრუნველყოფილს არ შეუძლია წარმოიდგინოს ბედისაგან დაჩაგრული სოფლის მასწავლებლის ცხოვრება. უუფლებო, ცხოვრებისგან დაბეჩავებული, ზოგი კიდეც დამახინჯებული, სულით დაკნინებული—ჩუმათ ეწევა ცხოვრების მძიმე უღელს. შრომა დიდი (ვისაც სინიდისი კვლავ შერჩენია, თვარა ბევრი ხომ...), სასყიდელი კი მცირე. მე მწამს, რომ ნივთიერათ უზრუნველყოფას მნიშვნელობა აქვს კაცისთვის,—ვფიქრობ ბევრი მათგანი—ვინც ხელს ისვრის უმზგავსო საქმეში, თავს დააწევდა ამ ბიწიერებას, რომ ნივთიერი მხარე რამდენათმე მაინც ხელს უწყობდეს.

ერთხელ ერთერთ სადგურზე სოფლის მასწავლებელს შევხვდი... მაღალი ტანი, სახე დაღვრემილი, ძველი, დაგლეჯილი პალტო... ასეთივე შალვარი... ფეხსაცმლიდან თითები... გულს ბოღმა მომაწვა, თვალებზე ხელი მივიფარე... და განა მარტო ის ერთი არის ასეთი? არა—ათასი! ბევრი, ძალიან ბევრი!..

და ნაღვლიანი გულით ვეკითხები თავს: ყოველი კაცის შრომას რომ აქვს ფასი' მასწავლებლებს რა ღმერთი გაუწყრათ?

ერთერთი სამოქალაქო შკოლის მსახური თვიურათ 40 მანეთს იღებს, მის შვილს სტიპენდიაც დაუნიშნეს. „წამო, სადმე სამოქალაქო მსახურის ადგილი ვიშოვნოთო—ნაღველ-შერეული ოხუნჯობით მეუბნებოდა ერთი ამხანაგი.

— „ვცდილობ—სადმე მეტ-ჯამაგირიანი ადგილი ვიშოვნოო".

— „რომ შევასრულებ ხუთ წელს, სამსახურს მივატოვებ. არ ღირს ძმაო 28 მანეთისთვის ამდენი წვალება. ყოველდღე მთელი წლის თუ არა, თვის სიცოცხლე მაინც მოგაკლდება. მართალია, მასწავლებლობა წმინდა ხელობაა, მაგრამ რა ვქნა!—დედაც მიყვარს, მამაც მიყვარს—თავი ყველას მირჩევნიაო, ხომ გაგიგონია. ხუთი წელი თუ არ შემისრულდა, სალდათად წამაბძანებენ"...

— „მეტი შრომისაგან დავსნეულდი. ხედავ რასა ვგავარ?—ჩონჩხი ვარ მხოლოდ"...

— „ნეტა ვიცოდე, თუ ჩვენც მოგვაქცევენ ოდესმე ყურადღებას! იშრომეო, გვეუბნებიან, მაგრამ ღმერთი არ სწამთ? მშიერმა რა ვაკეთო"?

„დაიქცა ბარემ ჩვენი სოფელი? ნახევარჯერ მშიერი ვარ. ფული რომ გქონდეს, საყიდელს ვერ იშოვნი. თუ იშოვნე—ორი ფასი უნდა მისცე... ჭიათურამ გააძვირა. თუ რასმე შეევაჭრე კაცს, ძვირათ გიფასებს:—არ მომცემ—ჭიათურაში გავყიდი, იქ მეტს მომცემენო.

„გაჭირდა საქმე! დღევანდელი 28 მანეთი წინანდელ 28 მანეთს არ უდრის, მისი ნახევარიც არ არის. წინათ სანოვაგე იაფი იყო, ახლა კი საშინლათ გაძვირდა. მახსოვს შაურათ ექვს-შვიდ კვერცხს იყიდი. ახლა კი 6 კვერცხი 18 კაპიკი ღირს. დედალს ექვს შვიდ შაურათ იშოვიდი—დღეს ერთი ქათამი ექვს აბაზ-მანეთად ღირს, ახლა რომ ორ მანათად ინდაურს იყიდი—წინათ 4—6 აბაზათ მოგცემდენ... ფუთი ფქვილი იმის ნახევარიც არ ღირდა, ახლა რომ ღირს... ცხოვრება გაძვირდა და თუ წინათ შეიძლებოდა 28 მანეთისთვის კიდეც გადაერჩინა რამე კაცს, დღეს არც კი ყოფნის... ბევრი ვიცი, შინიდან რომ უგზავნიან ფულს... კიდევ კარგი, შინ თუ მაინც აქვს, მაგრამ ბევრი რომ თავისი ჯამაგირის შემყურეა და ისიც კი უნდა—ოჯახს შეეწიოს?.. ეხ"!

აი, რას ამბობენ ჩვენი მასწავლებლები, გაამტყუნებთ! ჯერ კი სცადეთ და თუნდ ერთი დღე დარჩით მშიერი.

გავამართლოთ?—არც ეს შეიძლება! თვალის გახელაა საჭირო! ერთი ზარმაცი თურმე მწიფე სხალ ქვეშ დაწვა გულდაღმა. „ვაჰ, ნეტა ერთი მოსწყდებოდეს და პირში ჩამივარდებოდესო". კარგი.— თუ ქარმა დაქროლა და მოსწყვიტა ნაყოფი, მაგრამ თუ [illegible] ის არ სჯობია, ვაინძრეს ჩვენი ზარმაცი, გაისარჯოს და ხელი [illegible]?

თუ ნაკლებათ განვითარებული მუშები უძლვიან თავის თავს, ზრუნვენ თავისი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის—მასწავლებლებს რატომ არ უნდა ქონდესთ საქმიანობის უნარი?

რატომ არის, რომ მასწავლებლები უცხონი არიან ერთმანეთისთვის, არ იზიარებენ ერთმანეთის ჭირ-ვარამს? რათ არ ვეხმარებით ერთმანეთს?

ერთი მასწავლებელი ავათ გახდა. (ეს ორიოდე წლის წინათ იყო.) ფერდში ძვლის ტუბერკულიოზი გაუჩნდა. თფილისში აქიმობდა. რასაკვირველია, თავისი ჯამაგირი არ ყოფნიდა. შინ არა ქონდა რა და, აბა, როგორ დაეხმარებოდენ მშობლები?! ვერც კი ბედავდა მათ შეწუხებას. აქიმების რჩევით, საზღვარგარეთ უნდა წასულიყო. ერთმა მისმა ამხანაგმა განიზრახა მისთვის როგორმე და რითმე ფული შეეგროვებია... შეუგროვა რამდენიმე მანეთი, მაგრამ ამ ფულის ნაწილი შემგროვებელმა... არა, კი არ წაურთმევია, მისცა მაგრამ „სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო". „ბევრჯერ ყოფილვარ ამ ავათმყოფობის დროს მთელი დღეებით მშიერი... ტკივილიც მაწუხებდა და კუჭიც"...

როცა ბილეთს ყიდდენ იმ მასწავლებლის სასარგებლოთ გამართული საღამოისას, ერთმა ქალბატონმა ბძანა თურმე: შევეწიო? ვის? მასწავლებელს? რა საზოგადო მოღვაწე ის არიო! მესმის—იყოს მგოსანი... ან სხვა ვინმე დიდი კაცი...

საწყალო სოფლის მასწავლებელო! გესმის, რას ამბობენ შენზე? მაგრამ ნუ შედრკები, შენ „დიდი ხარ, და თუ დღეს ბევრს პატარა გონიხარ, ეს შენი ბრალიც არის: დაამტკიცე, რომ შენ „ნული" არა ხარ, დაამტკიცე, რომ შენც კაცი ხარ ქვეყანაზე! სხვას ეპატიება უმოქმედობა, შენ კი არა—სოფლისა და ხალხის მასწავლებელი ხარ. თუ შენ ვერ მოუარე შენს თავს, სხვამ აბა რა უნდა ქნას?—არა— შრომა პატიოსნური. ბევრი, ძლიერ ბევრი რამეა გასაკეთებელი. უმოქმედობა მიუტევებელი დანაშაულია და ჩვენს დროში გულხელდაკრეფილი ვუყურებდეთ ჩვენს ბედს, ვიძახოდეთ—სხალ ქვეშ მწოლარე ზარმაცივით: ნეტა ერთი ვაშლი მოსწყდებოდეს და პირში ჩამივარდებოდესო—არ არის მოსაწონი!

ჩვენვე უნდა ვიქნეთ ჩვენი თავის ჩვენი ბედის ბატონ-პატრონი... გამგე მასწავლებლებს ჯამაგირი „მოუმატეს"... 400 მანეთი აქვთ ახლა წელიწადში... ამით უნდათ ჩააქრონ უკმაყოფილების ცეცხლი... აი—ტაქტიკა...

მაგრამ უკმაყოფილო მასწავლებელთა რიცხვი—არა მგონია, შემცირდეს ამით... თუ არა, მაშ...

გაუმარჯოს წმინდა მიზნით გატაცებულს, ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლს!!

სახეზე ცივი წყალი შევისხათ, გამოვფხიზლდეთ:—ძილი კმარა!!.

გერასიმე.

## ფოთი.

თუ ჩვენ თვითონ არ ვუშველეთ ჩვენს თავს, სხვისი იმედი არ უდა გვქონდეს.

ა. ჭავჭავაძე.

როგორც შევიტყეთ, ამ თვეში უნდა ჩამოვიდეს ფოთში რუსის სანავოსნო საზოგადოების გამგეობის თავჯდომარე ადგილობრივი მუშაობის პირობების გასაცნობათ და რაიმე ზომის მისაღებათ, რათა მუშებმა უფრო ინტენსიურათ იმუშაონ, რაკი, როგორც ამტკიცებენ რუსის სანავოსნო საზოგადოების წარმომადგენელნი, მუშაობა გაფიცვას შემდეგ ძალიან დაკლებულიაო. კანტორის მოსამსახურეები აპირობენ შემთხვევით ისარგებლონ და კოლექტიური თხოვნა მისცენ. ისინი მოითხოვენ მათი ეკონომიურისა და იურიდიული პირობების გაუმჯობესებას და მასთან მიზეზების გამორკვევას, თუ რისთვის სდევნიან ქართველ მოსამსახურეებს. როგორც გამორკვეულია, შოვინისტური პოლიტიკის ინიციატორი იყო ყოფილი დირექტორი რუსის სანავოსნო საზოგადოების—ბ. ტიმროდი და მისი თანაშემწე—ბ. სმირნოვი, რომელიც დღეს სამსახურიდან დათხოვნილია ადესის შაქრის „პანამის" გამო.

ის ფაქტი, რომ ქართველ მოსამსახურეებს კარგის თვალით არ უყურებენ და სდევნიან რუსის საზოგადოებიდან, უკვე

---

აქიმებისვე რჩევით მარტის შუა რიცხვებში მიატოვა უნივერსიტეტი და „მიაშურა მის საყვარელ ელენეს"...

ისე მოულოდნელათ ჩამოვიდა, რომ ელენე არც კი დახვედრია შინ და მხოლოდ ერთ საათს შემდეგ მობრუნდა.

მშობლებისა და ელენეს სიხარულს საზღვარი არა ქონდა, მაგრამ მეორე მხრით ძლიერ საწყენათ დაურჩათ გიგლას ამ დროს ჩამოსვლა და მისი ასეთი ავათმყოფური გამოხედვა; ჩამოსვლის მიზეზს მაინც ვერც ერთი ვერ ბედავდა ეკითხა.

— უი შენს დედას, შვილო, რას დამზგავსებია ჩემი მარგალიტი ბიჭი,—ჩაილაპარაკებდა თავისთვის გულდათუთქული დედა,—ნეტა, სულ არ გესწავლა წერა-კითხვა და გვერდიდან კი არ მომშორებოდი... რატო არ დაუბრმავდება დედაშენს თვალები!..

— რითა ხარ ავათ?—შეეკითხა ელენე, როდესაც მარტოთ დარჩენ; ხმის კილოში შეყვარებულის მუდარაც მოისმოდა, ბძანებაც და უკმაყოფილებაც.

გიგლას პასუხი არ მიუცია, მხოლოდ თავი ჩაღუნა დამნაშავე ბავშივით.

ელენე გაფითრდა...

— რა გტკივა, აქიმებთან არ ყოფილხარ?

გიგლა მუხლებზე დაეცა მის წინაშე, თავი კალთაში ჩაუდვა და ემუდარებოდა:

— ელენე, მაპატიე, მე არა ვარ შენი ღირსი, ცოცხალი არ უნდა დაბრუნებულიყავი, გამბედაობა რო მქონოდა, მაგრამ ხედავ, ლაჩარი ვარ და ვერ გავიმეტე თავი სასიკვდილოთ?!

სისხლი მოერია თვალებში ელენეს, გაფითრდა, ვეფხს დაემზგავსა.

— უსირცხვილო!.. აი, ვის შევსწირე ჩემი თავი!

კიდევ ბევრის თქმა უნდოდა, მაგრამ სული ყელში მოებჯინა, და თვალზე ხელაფარებული გავარდა მეორე ოთახში, რომ გული მოეოხებია ტირილით.

* *
*

დიდხანს გასტანა გიგლას აქიმობამ... განიკურნა...

მხოლოდ მარცხენა თვალის ქუთუთომ თამაში დაუწყო...

ელენემ დაუმტკიცა მას, რომ შესძლებია ნამდვილი ცოლობა და მეუღლის ჭაპანის ატანა.

სრულ სამ წელიწადს ფარვანასავით თავს ევლებოდა და უვლიდა „უძლებ გიგლას", მაგრამ გიგლას არა სჯეროდა, რომ არ ღალატობდი ელენე. ეჭვები უფრო მაშინ გაუცხოვლდა, როდესაც ახალგაზდა აქიმს გააცილებდა ხოლმე ელენე და დაბრუნება შეაგვიანდებოდა სამ-ოთხ წუთს. აცილებდა კი იმ მიზნით, რომ გიგლას ჩუმათ გამოეკითხა ავათმყოფობის მიმდინარეობა.

არწმუნებდა, ეფიცებოდა, პატიოსან სიტყვას აძლევდა, რომ მისი ერთგულია და აქიმი კი არა მთელ ქვეყანაზე არ გასცვლის მას.

— მაშ რაზე ხვდები ისე ტკბილათ და აცილებ კიდეც? რასაკვირველია, მე აღარ მოგეწონები ახლა, დაავათმყოფებული, ყველა ეს კი შენმა ფულებმა დამმართა. შავდაუკულმა ის წუთი, როდესაც შენ ჩემი ცოლი გახდი. მამიშენის მევახშეობამ მე მიწია... სიმართლით აღებული ფულები რო ყოფილიყო, ამ დღეში არ ჩავვარდებოდი... შენ მხოლოდ სახელით ხარ ჩემი...

ძლიერ ხშირი იყო ასეთი სცენები ცოლ-ქმართ შორის, რომელთაც ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ ორ თვეს იცხოვრეს ერთად.

ელენემ ველარ აიტანა ასეთი სიცოცხლე და, თავისი სურვილის წინააღმდეგ, გაშორდა ქმარს.

ასეთი ნაბიჯი არაფრათ ჩაუგდია გიგლას...

გაშორებას შემდეგ უფრო შეუყვარდა ელენეს „თავისი" გაუბედურებული გიგლა.

არც მამას და არც სხვა ნათესავებს არ აძლევდა ნებას ცუდათ ეხსენებიათ მისი პირველი და უკანასკნელი სიყვარული.

იმ ზაფხულს მჟავე წყლებზე წასვლა ურჩიეს გიგლას.

ელენეს უყვარდა გიგლი მთელი თავისი არსებით... ველარ მოითმინა და ერთ თავის ნათესავს მიაწერია, რომ გაეგო გიგლას ამბავი; უპასუხა გიგლამაც.

თავში ძლიერ უდიერათ და უშვერი სიტყვებით იხსენიებდა ელენეს... მოღალატეს, მატყუარას და შემდეგ თავის აზრს გამოსთქვამდა საზოგადოთ ქალზე: „... თუ მონახული გგონია ნავსაყუდელი, ძლიერ სცდები, თუ არა და ჩემთან ერთად შენც ხშირათ წამოიძახებ ყოველდღიური მოვლენებით განაწყენები: „სად არის ის ნავსაყუდელი, სადაც შემეძლება მოვისვენო"? მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ისე ძლიერია სიყვარული სიცოცხლისადმი—მაინც ვცხოვრობთ. ასეა მეგობარო, თვალის წარმტაცი გარეგანი ფორმების სილამაზით დაჯილდოებული ქმნილი—ქალათ წოდებული ამ დალოცვილ მეოცე საუკუნეში, ხიბლავს და ათრობს ვინმე გულუბრყვილოს, აბრმავებს, თავბრუს ასხამს, თავის ნება სურვილზე აცოცხალებს და ამ ალერსიანობას სიყვარულს უწოდებს ქალი. ეჭვი მეპარება ქალის გულის სიღრმეში დამარხულ საიდუმლოებას ხომ არ ამჟღავნებს ანათემას პირით, როდესაც ლეონიდ ანდრეევი ლაპარაკობს: „მე მოვშხამე სიცოცხლის ყველა წყარო და ყოველ მის გზაზე დარაჯები დავსვი. სუსტებს ვკლავ, ძლიერთ კი ვატრიალებ; ვათრობ ცეკვით, უშკუო ცეკვით. გუშინ ერთი ამხანაგისგან წერილი მივიღე, ერთი ნაცნობის თავის მოწამვლის მიზეზსა მწერს; როგორც ხშირათ, აქაც ქალია დამნაშავე.

ქა-ლი! თავის შესახებ კი მწერს რასაც მეც ვემოწმები:

„ვზივარ და ვოცნებობ შინ და ოცნებით გელაპარაკები. ქარი ძვლებამდი ატანს და ამ ორგანიულ სიცივეს დასძინე სიცივე სულისა, და მგონია, გაიგებ ჩემს ამბავს, მამიხვდები...

ვერ წარმოიდგენ, რა აშფოთებული ვარ ამ ცხოვრებით, თვითმკვლელობას კი, როგორც სიმბოლოს წამებიდან თავის დაწევისას, მაინც ვერ ვბედავ, ამით ხომ თავისუფლებას მივანიჭებდი ელენეს, სხვერპლს მოვუტანდი, ეს კი არა მსურს. თუმცა კი კარგა ხანია გულს მიკლავს ის გარემოება, რომ ის არა ვარ, რაც უნდა ვიყო, ვარ ის, რაც არ უნდა ვიყო, მაგრამ თუ არ ვიცხოვრებ, ვიცოცხლებ მაინც, ვიდრე გადვიცვლები. გ. მუშლაძე.

სავაჭრო სახლი
**ი. გოკიელის** შვილების
ქუთაისში.

მიღებულია და იყიდება ძლიერ ზომიერ ფასებში **რუსული კალენდრები** საუკეთესო გამოცემა ოტტო კიხნერისა და სიტინის ამხანაგობისა.
**ტყავის პორტფელები** (Портфели адвокатскія, документныя и вексельныя).

ქართული კედლის და ჯიბის **კალენდრები**
კალათები ქაღალდის ჩასაყრელ

ალნიშნული იყო გაზეთ „იმერეთშიც". თვით დეპ. ვ. გელოვანმა, როცა ფოთში იყო, მოაგროვა მასალა ამ საკითხის შესახებ, და აღუთქვა აქაურ ინტელიგენციას ზომების მიღება შოვინისტური ტენდენციის წინააღმდეგ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელ წლებში საზოგადოების დირექცია სისტემატიურათ სდევნიდა ქართველ მოსამსახურეებს, მიუხედავათ იმისა, რომ ქართველები შეადგენენ უფრო სასარგებლოსა და მცოდნე ელემენტებს. ქართველებს არ უმატებდენ ჯამაგირს, არ აძლევდენ ადგილებს, და თუ რამე ადგილი გაიხსნებოდა, გზავნიდენ ადესიდან „ჭეშმარიტ რუსებს". რასაკვირველია, ისინი საქმისთვის ყოვლად უვარგისი იყვენ, ცოდნითა და გამოცდილებითაც, რის გამოც ზიანი მოქონდათ საქმისთვის, მაგრამ სამაგიეროთ ბეჯითად ასრულებდენ შავრაზმულ როლსა და მისიას. მათს წმინდა პროვოკატორულ საქციელს შექონდა დემორალიზაცია მოსამსახურეთა წრეში, რომელ ფაქტსაც ვერ უარყოფს, თუ საჭიროება მოითხოვს, მგონია, ადგილობრივი აგენტი—ბ. იზბაში. რამდენათ ქართველი მოსამსახურეები დაბეჩავებული არიან და ვერ შესძლებიათ ხმის ამოღება თავისი იურიდიულისა და ეროვნული ინტერესების დასაცველათ, იმას აშკარათ ამტკიცებს, სხვათა შორის, ის ფაქტი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ კანტორის ბუღალტერს, ვიღაც პოგორსკის, რომელიც ტუაფსაში საქონლის მიმღებათ ყოფილა, შეურაცხყოფა მიუყენებია ქართველი მოსამსახურეებისთვის, უდიერათ უხსენებია ყველა ქართველობა.

მოსამსახურეები და აქაური ინტელიგენცია ძლიერ აღელვა შავრაზმელი პოგორსკის საქციელმა. ეს პირველი მაგალითი არ არის ქართველი მოსამსახურეების ეროვნული ღირსებისა და თავმოყვარეობის შელახვის. ინტელიგენცია, როგორც საუკეთესო ელემენტი ერისა, ვალდებულია გაილაშქროს შავრაზმელთა შოვინისტური ტენდენციის წინააღმდეგ და დაიცვას ეროვნული ღირსება.

კომეტა.

## დაბა-სოფელი.

**სოფ. შროშა (ზ. იმერეთი).** 31 იანვარს აქ მოვიდა წვრილი კრედიტის ინსპეკტორი ბ-ნი გელოვანი და დაესწრო შროშის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის საზოგადო წლიურ კრებას. პირველათ ბ-მა გელოვანმა მოსთხოვა გამგეობას წასული წლის ანგარიში და აღმოჩნდა შემდეგი: ამხანაგობას დაარსებიდან (2 ოკტომბერს 1913 წ.) მიუღია გრძელვადიანი სესხი 2000 და მოკლევადიანი 5000 მანეთი, რაც მთელად გაცემულა. ამ თანხიდან ხარჯებს გარდა წმინდა მოგება დარჩა 387 მ. და 14 შ. რომელიც ამხანაგობამ ერთხმათ გადასდვა ძირითადი თანხის გასაძლიერებლათ.

შემდეგ მოხდა ახალი არჩევანი გამგეობისა და საბჭოს წევრებისა; აირჩიეს ისევ ძველები: გამგეობის: ღვდ. გ. მანჯავიძე (თავჯდომარეთ), ვ. ნ. ჩიხლაძე და ს. ლ. კვინიკაძე; საბჭოს წევრებათ: ი. პ. მანჯავიძე (თავჯდომარეთ), ა. ბ. მაჭავარიანი და ტ. ლ. ჩახვაძე; საქმისა და ანგარიშის მწარმოებლათ მასწ. ალ. ხარატიშვილი. სმეტა მომავალი 1914 წ. გასავლისა ამხანაგობამ გაანაწილა ამ გვარათ: 120 მან. ბინისათვის, 120 მანეთი საქმის მწარმოებელს და 80 მან. წვრიმალი ხარჯებისათვის, საიდანაც რამდენიმე ნაწილი მიეცემა შროშის მომავალ წიგნსაცავ სამკითხველოს.

შემდეგ ამხანაგობამ სთხოვა ბ-ნ გელოვანს მოკლევადიანი სესხის გადიდება 10000 მანეთამდი, რადგან პირვანდელმა სესხმა სრულებით ვერ დააკმაყოფილა ასეთს მოუსავლიან წელში მათი მოთხოვნილება და მასთანავე ამხანაგობამაც შესაფერათ იმატა (349 წევრთა); ბ. გელოვანმა ეს თხოვნა შეიწყნარა და დაპირდა ამხანაგობას ამ ფულის მიცემის შესახებ შუამდგომლობის გაწევას, სადაც ჯერ არის.

ალ. აჭარელი.

## ღია ბარათი

**ბ-ნს ვასილ ბეჟანეიშვილს**

ბ-ნო ვასილ! დიდის სიამოვნებით ვეგებები თქვენს წინადადებას და თანახმათ თქვენი „ბძანებისა" მოგყვებით სამედიატორო სამართალში. დაასახელეთ თქვენი მედიატორენი და მეც ჩემსას დავასახელებ. მართლა საჭიროა იცოდეს საზოგადოებამ, თუ ვინ ჩვეულა მიმართოს ხოლმე არაკეთილსინიდისიერ ფანდებს.

მ. ჯანოევი.

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ბრეგაძე.**

**ქუთაისი**
**პირველი კერძო სამკურნალო**
**სპეციალისტი ექიმებით.**
**მუდმივი საწოლებით თ. ა. რედიგინის სახლი თეთრ ხიდთან.**
**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დილით.**
გ. ა. აშიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული . . . 1—2
გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის . . . 10—12
ა. ა. რედიგინი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო . . . 11—12
მ. დ. ბეთანელი—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . 12—2
ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . 12½ 2

**საღამოთ.**
გ. დ. ქორქაშვილი—თვალის . . . 4½—5½
ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . 5½—6½

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა.
ტელეფონი № 53
სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.

18 დეკემბრიდან
**დაიწყო ხელის მოწერა**
**ია ეკალაძის (ი. ცინცაძის) მოთხრობათა მეორე ტომის გამოსაცემად**
წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს დართული ექმნება ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.
წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით სუფთად და ლამაზათ.
ხელის მოწერა მიიღება ბბ-ნ კ. ოცხელის, თ. მთავრიშვილის, ი. კვიცარიძის, „პროვინციის" წიგნის მაღაზიებში და კერძო აგენტებთან.
**ფასი ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.**
მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით; ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი ხოჯევანოვისა.
გამომცემელი **ია. ცინცაძე.**

**ამერიკული ვაზების სანერგე ქუთაისში**
**„კლდ-ულუღული"**
ყოველთვის ურჩევს მიწის ნიადაგის მიხედვით შესაფერი დამძირებული ვაზების არჩევას, აფრთხილებს მემამულეებს **რუპესტრისზე** დამყნილი ვაზების ხმარებისაგან, რომელიც იძლევა ნაკლებ მოსავალს და ღვინოც ღირსებით ნაკლები ხარისხის გამოდის, და რომელიც იწვევს ყველაზე მეტს **სოკოს ავათმყოფობას** საძირეზე. დამზადებული გვაქვს გასაყიდათ: ცოლიკოური, კრახუნა, ციცკა, წვანე, რქაწითელი, საფერავი, ოცხანური და ბევრი სხვა ჩვენებური და ევროპიული ჯიშისა და აგრეთვე საგობე საჭმელი ყურძნის ჯიშის, რომლებიც დამყნილია სხვადასხვა საძირეზე ყოველნაირი ნიადაგის მიწებისათვის. სალვინე ღვინის ვაზების ფასი—1000—75 მან. პრეისკურანტი იგზავნება უფასოთ.

როგორც ვიცით, გასულ წელს აბრეშუმის თესლი ბაზარზე საზოგადოთ ნაკლები იყო. წელსაც, როგორც სტატისტიკური ცნობებიდან ჩანს, თესლი შარშანდელზე კიდევ უფრო ნაკლებია. შარშან ბევრმა ჩვენმა მყიდველმა გვისაყვედურა, თუ რატომ არ გავაგებიეთ, ან თესლი არ შევუნახეთ. ამიტომ ყველა
**პასხალიდის**
**აბრეშუმის თესლის**
მყიდველთა საყურადღებოთ ამით ვაცხადებთ, რომ მათ თესლი ამთავითვე დაიბეჭვონ, ვინაიდან თესლი დაუბევებლათ არავის შეენახება და, მაშასადამე, ბოლოს საყვედურიც უადგილო იქნება.
**ჩვენი ადრესი:** ბათომი, მარინსკი პროსპექტ, საკუთარი სახლი 10.—ერთადერთი წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლის ბათომის, ქუთაისისა და თფილისის გუბერნიებში მათე გაბრიელის ძე რუსიძე.

1914 **წ. მიიღება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ**
წელიწადი მეათე. **„ნაკადულზე"** წელიწადი მეათე
(1914 წ. 1-ლი იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდი).
თფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2, ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:
მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი, მოზდილთათვის **12** წიგნი.
36 სურათი, წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.
**საჩუქრათ ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი:**
**„მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქეველი მთები",**
(მრავალი სურათით), **გიორგი ანთელაძისა.**
ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურათ—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარგარეთ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ.; მოზდილთათვის—3 მ., ხელის მოწერა მიიღება წლიურათ და ნახევარი წლით. **ხელის-მოწერა შეიძლება:**
**თფილისში:** „**ნაკადულის**" რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули", Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან. მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან, **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალიძესთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასო ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში**—ბ. ამბოკაძესთან, **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან, **ყარსში**—ივ. საათაშვილთან; **ალექსანდროპოლში**—ს. შატბერაშვილთან, **როსტოვში**—მ. კლიმიაშვილთან, **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.
1631 რედაქტორი **ნ. ნაკაშიძე.** გამომც. **თ-დ პ. თუმანიშვილი.**

გრძელდება ხელისმოწერა
**„სასოფლო გაზეთზე,"**
24 ნოემბ. უკვე შესრულდა მისი არსებობის ერთი წელიწადი.
**მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისთვის.**
წლიური ფასი . . . . 4 მან.
ნახევარი წლის . . . . 2 მან.
**ფულის შემოტანა შეიძლება ორჯერ:**
2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანეთიც პირველ მაისისთვის.
მთელი წლის ხელისმომწერთ გაეგზავნებათ საჩუქრათ ბოსტნეულობის საკვები ბალახის თესლები და წიგნაკები.
**ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით:** Кутаисъ С. Х. Школа, Александру Давидовичу Шарашидзе.

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**
**„სახალხო გაზეთი"**
(წელიწადი მეხუთე)
1914 წ. **გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდი გამოდიოდა კვირაობით სურათებიანი დამატება**
1914 წლ. ხელის მომწერნი, ვინც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებ[ენ] პრემიათ: პირველი წიგნი: ქართველი მწერლები: 1 **„უგვირგვინო მეფე"** ისტორ[იული] დრამა 5 მოქ. ალექ. შანშიაშვილისა. 2. **„მიმქრალი შარავანდი"** ისტ. რომ[ანი] ბარნოვისა მეორე **წიგნი:** უცხოეთის მწერლები: „დონ კარლოსი"—ტრაგ. შილ[ე]რისა, თარგმ. გერმან. ალ. შანშიაშვილისა. და სხვ. ნაწარმოები უცხოეთ[ის] მწერლებისა მესამე წიგნი „**სამეცნიერო კრებული.**" ორიგინალური და ნათარგმ[ნი] წერილები.

**გაზეთის ფასი**
**თფილისში და მის გარეთ.**

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8მ. 10შ. | 8 მ.—„ | 7მ. 10შ. | 6მ. 15შ. | 6 მ.—„ | 5მ. 5შ. | 4მ. 10შ. | 3მ. 15შ. | 3 მ.—„ | 2მ. 5შ. | 1მ. 10შ. | —15 |

**საზღვარ გარეთ.**

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15მ.—„ | 13მ15შ | 12მ.10შ | 11მ.5შ | 10მ.—„ | 8მ15შ. | 7მ.10შ. | 6მ. 5შ. | 5 მ.—„ | 3მ.15შ. | 2მ.10შ. | 1მ. 5[შ] |

**ცალკე ნომერი ყველგან შაურათ; დამატებიანი შვიდი კაპეკათ.**

თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ადესელ სტუდენტთა ინციატივი[თ] გამოვა ქართულ ენაზე სამეცნიერო-სალიტერატურო კრებულ[ი]
**„ცხოვრება და მეცნიერება,"**
რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სტუდენტების გარდა ადგილობრივ უნივერ-სიტეტში მომუშავე სამეცნიერო ძალები. სუფთა შემოსავალი ამ კრებულიდა[ნ] გადაიდება ადესის ქართულ საზოგადოების „საქართველო"-ს სასარგებლოთ.
**შინაარსი.**
**პრ.—დოც: ს. ავალიანი.** დროებით ვალდებულ გლეხთა საკითხი. **ორდინატორი ნერ[ვიულ] კლინიკისა ექიმი ს. ყიფშიძე:** საუბარი ტვინის ფუნქციებზე. **პროზექტორი ანატომიურ თეატრისა ექიმი ნ. კახიანი:** ნორმალურ ანატომიის შესავალი (უჯრედი [და] ქსოვილი). **ორდინატორი ვენერიულ კათედრაზე ექიმი მ. ცეცხლაძე:** ადამიანის სქესო[]ბრივი ცხოვრება. **სტუდენტი შ. ქავთარაძე:** ანაბიოზი. **სტ. ქ. რაჭველიშვილი.** საუბ[ა]რი ხელოვნების შესახებ. **სტ. ს. ასლანიშვილი.** სამცხე-საათაბაგოს სიძველენი. **სტ.** [] **კარბელაშვილი.** ახალგაზდები (მოთხ. სტუდ. ცხოვ.) **სტ. დ. ჟღენტი.** ბავშის აღზრ[და]. **სტ. გ. ურუშაძე.** რადის მნიშვნელობა მედიცინაში.
ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ალექსანდრეს ქუჩა. ზ. კოკოჩაშვილის სახლი. ხელის მოწერით წიგნი ეღირება ერთ[ი] მანეთი, შემდეგ 1 მ. 10 შ.

**გ. მორდამისა და ს. წერეთლის**
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქ[ში] უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინ[ის] ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ"
**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**
საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და დუქნის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სადებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

## რკინის გზა.

**ქუთაისიდან მიდის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **თფილისს:** | სახალხო დილის | 10 საათ. | 6 წ. |
| | ფოშტის დილის | 11 საათ. | 55 წ. |
| | სახალხო ღამით | 11 საათ. | 27 წ. |
| **ათომს:** | სახალხო დილის | 5 საათ. | 10 წ. |
| | სახალხო ღამით | 11 საათ. | 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 21 წ. |
| **ფოთს:** | სააგარაკო დღის | 4 საათ. | 22 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. | 10 წ. |
| | ფოშტის დღით | 5 საათ. | 21 წ. |
| **ზორაბანს:** | სააგარაკო დღით | 4 საათ. | 57 წ. |
| **ტყიბულს:** | სახალხო დილის | 7 საათ. | 50 წ. |

**ქუთაისს მოდის.**

| | | | |
|---|---|---|---|
| **თფილისიდან:** | სახალ. დილ. | 7 საათ. | — |
| | ფოშტის საღამ. | 6 საათ. | 55 [წ.] |
| | სახალხო ღამ. | 1 საათ. | 28 წ. |
| **ბათომიდან:** | საფ.-სახ. დილ. | 11 საათ. | 14 წ. |
| | სახალხო ღამ. | 1 საათ. | 27 წ. |
| **ფოთიდან:** | სააგარ. დილ. | 10 საათ. | 3 წ. |
| | სახალხო დღით | 1 საათ. | 20 წ. |
| | სახალ. ღამით | 1 საათ. | 26 წ. |
| **ზორაბნიდან:** | სააგარ. დილის | 9 საათ. | 31 [წ.] |
| **ტყიბულიდან:** | საღამოს — | 5 საათ. | 11 წ. |

**ბილეთის ფასი:**

| | II კლ. მან. | II კლ. კაპ. | III კლ. მან. | III კლ. კაპ. |
|---|---|---|---|---|
| თფილისამდი | 4 | 31 | 2 | 87 |
| ბათომამდი | 3 | 5 | 2 | 3 |
| ფოთამდი | 2 | 21 | 1 | 47 |
| ჭიათურამდი | 1 | 76 | 1 | 17 |
| ბაქომდი | 10 | 81 | 7 | 20 |
| მოსკოვამდი | 27 | 90 | 18 | 65 |
| პეტერბურგამდი | 33 | 31 | 22 | 20 |
| ვარშავამდი | 31 | 50 | 21 | 5 |

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვისა ქუთაისში.